**ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში**

**საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:** სიმონ გელაშვილი ;
**არჩევის წესი:** მაჟორიტარი;
**საანგარიშო პერიოდი:** 2025 წლის 30.10. -დან -- 2026 წლის 30. 09-მდე;
**თანამდებობის დასახელება** : საკრებულოს წევრი ;
**ფრაქციის დასახელება:** ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ ;
**კომისი(ებ)ის დასახელება:**

- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;
- საკრებულოს „სივრცითი და ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია“ ;

1. **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**
   30.10. 2025 წ.-დან -- 30.09.2026 წ.-მდე საკრებულოს სხდომების რაოდენობა 17(ჩვიდმეტი), საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 16(თექვსმეტი);
   კომისიების რაოდენობა:
   - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - სხდომების რაოდენობა 9(ცხრა), დასწრება 9(ცხრა);
   - საკრებულოს „სივრცითი და ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია“- სხდომების რაოდენობა 3(სამი), -- დასწრება 2(ორი);
   (ერთ საკრებულოს და ერთ კომისიის სხდომას ვერ დავესწარი საპატიო მიზეზის გამო, გამომდინარე იქიდან, რომ ვარ აქტიური სამხედრო რეზერვის წევრი და სარეზერვო შეკრების თარიღი დაემთხვა აღნიშნულ სხდომების თარიღს).
2. **საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**
   საკრებულოს სხდომებზე მიღებული და დადებითად გადაწყვეტილი ყველა საკითხი , მათ შორის:
   1) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“, ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ საკითხი;
   2) „ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი;
   3) „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის განხილვის შესახებ)“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი;
   4) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცებისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი;
   5) „ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 04 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი;
   6) „ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 11 ივნისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

3. **მოქალაქეებთან შეხვედრები:**

აგარის სამაჟორიტარო ერთეულში შემავალ სოფლებში, მქონდა შეხვედრები სოფლების (აგარა, საყუნეთი, ზიკილია, წინუბანი და გურკელი) მოსახლეობასთან.

შეხვედრების რაოდენობა:
სოფლის საერთო კრებები -- 9(ცხრა);
ინდივიდუალური შეხვედრა -- 49(ორმოცდაცხრა);
სატელეფონო საუბარი ინდივიდუალურ პრობლემებზე -- 87(ოთხმოცდაშვიდი).

4. **შეხვედრებზე წარმოდგენილი ძირითადი საკითხები:**

1) სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსაზღვრული საკითხები;
2) სოფლების შიდა გზების რეაბილიტაციის საკითხები;
3) მიწის ნაკვეთების სისტემური რეგისტრაციის შესახებ საკითხები;
4) სოფლის შიდა გზებზე გარე განათების საკითხი;
5) მოქალაქეთა და ადგილობრივ მაცხოვრებელთა სხვადასხვა პირადული საკითხები.

5. **სოფლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები:**

**სოფელი აგარა** -- ბეტონის საფარის მოწყობა სკოლის მიმდებარე ქუჩაზე და მის გაგრძელებაზე (ახალციხის მერიის მიერ დაფინანსებული პროექტი, სოფლის პროგრამით გათვალისწინებული);

**სოფელი საყუნეთი** -- გარე განათების მოწყობა სოფლის ქუჩებში (ორღობეებში) 1 კმ. მანძილზე (ახალციხის მერიის დაფინანსებული პროექტი, სოფლის პროგრამით გათვალისწინებული);

**სოფელი ზიკილია** -- გარე განათების მოწყობა სოფლის შიდა გზებზე (ორღობეებში და ჩიხებში). (ახალციხის მერიის მიერ დაფინანსებული პროექტი, სოფლის პროგრამით გათვალისწინებული);

**სოფელი წინუბანი** -- სასაფლაოს შემოღობვა (დასრულდა ტენდერი და უახლოეს მომავალში დაიწყება პროექტის განხორციელება).(ახალციხის მერიის მიერ დაფინანსებული პროექტი, სოფლის პროგრამით გათვალისწინებული);

**სოფელი გურკელი** --- სოფლის შიდა გზის მოწყობა ბეტონის საფარით. (ახალციხის მერიის მიერ დაფინანსებული პროექტი, სოფლის პროგრამით გათვალისწინებული);

**სოფელ საყუნეთში და სოფელ ზიკილიაში** მიმდინარეობს გაზიფიცირების პროექტის განხორციელება, რომელიც დასრულდება სავარაუდოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

შევსების თარიღი: 28.10.2026

წარდგენის თარიღი: 30.10.2026

ხელმოწერა: ---